



შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის
სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი

შინაარსი

I. ზოგადი დებულებები	3
II. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ძირითადი მოვალეობები	3
III. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები	6
IV. უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასება.....	10
V. გარდამავალი დებულებები	18
დანართი 11	19
დანართი 12	24
დანართი 13	26
დანართი 14	27
დანართი 15	30
დანართი 16	31

I. ზოგადი დებულებები

1. დებულების რეგულირების საგანი

1.1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (შემდგომში 'უნივერსიტეტი') წინამდებარე წესი ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ვალდებულებებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, აგრეთვე მათი სამუშაოს შეფასების წესს.

II. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ძირითადი მოვალეობები

2. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ძირითადი მოვალეობები მოიცავს:

- 2.1. საგანმანათლებლო საქმიანობას და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებებს;
- 2.2. კვლევასა და ინოვაციურ საქმიანობას;
- 2.3. უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში მონაწილეობას;
- 2.4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობას;
- 2.5. სოციალურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

3. საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები:

- 3.1. ლექციის/სემინარის/პრაქტიკულის/ლაბორატორიულის მომზადება, ორგანიზება და ჩატარება, მათ შორის ელექტრონული სწავლება;
- 3.2. სტუდენტების კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელობა;
- 3.3. სტუდენტთა კონსულტაცია;
- 3.4. სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა;
- 3.5. სტუდენტთა ნაშრომების/დავალებების შეფასება (ტესტი, კაზუსი, ამოცანა, შუალედური შეფასება, დასკვნითი შეფასება, პრეზენტაცია, ესე, სამაგისტრო ნაშრომი, სადისერტაციო ნაშრომი და ა.შ.);
- 3.6. სასწავლო მასალის შემუშავება (სახელმძღვანელოების, კონსპექტების, ტესტების შედგენა/განახლება და ა. შ.);
- 3.7. პროფესიული განვითარება;
- 3.8. ორგანიზაციული საქმიანობა სასწავლო პროცესის/სწავლების განვითარების მიზნით;
- 3.9. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები.

4. კვლევა და ინოვაციური საქმიანობა:

- 4.1. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები;
- 4.2. კვლევის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოძიება, მოპოვება და ადმინისტრირება;
- 4.3. კვლევის შედეგების გამოქვეყნება და პროფესიულ წრეებში მათი დანერგვა;
- 4.4. კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებსა და ვორკშოპებში მონაწილეობა;
- 4.5. საექსპერტო/საკონსულტაციო საქმიანობა, რეცენზირება;

- 4.6. კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა;
- 4.7. მონაწილეობა კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის ორგანიზებაში (მონაწილეობა კვლევითი ორგანიზაციებისა და პროფესიული ასოციაციების მუშაობაში, ჟურნალების, სამეცნიერო პუბლიკაციების, წიგნების და ა.შ., სარედაქციო კოლეგიების წევრობა, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და ა.შ.);
- 4.8. სხვა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასა და ინოვაციურ საქმიანობასთან.

5. უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში მონაწილეობა:

- 5.1. უნივერსიტეტის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების და სხვადასხვა დროებითი/მუდმივი კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;
- 5.2. ადმინისტრაციის დავალებების შესრულება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში - სკოლაში, სტრუქტურულ ერთეულში, სამუშაო ჯგუფი და ა.შ.;
- 5.3. მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებებში;
- 5.4. მონაწილეობა უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში;
- 5.5. უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

6. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობა:

- 6.1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა;
- 6.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება;
- 6.3. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავება და განვითარება;
- 6.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
- 6.5. უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებული პროგრამების/მოდულების/სასწავლო კურსების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობა;
- 6.6. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

7. სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობა:

- 7.1. უნივერსიტეტის, სფეროს/დარგის პოპულარიზაცია;
- 7.2. მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებში;
- 7.3. ეროვნული პროგრამებისა და სტრატეგიული გეგმების მომზადებაში მონაწილეობა;
- 7.4. უნივერსიტეტის გარეთ სხვადასხვა ორგანოსა და კომიტეტებში მონაწილეობა;
- 7.5. სხვა სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობა.

8. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში ძირითადი მოვალეობების პროპორცია განისაზღვრება ამ წესის 1-10 დანართის შესაბამისად. დასაქმებულის აკადემიური პოზიციიდან, ინსტიტუციაში მისი ადმინისტრაციული ან ორგანიზაციული ფუნქციიდან, სფეროს/დარგის სპეციფიკიდან, ძირითადი საგანმანათლებლო/სტრუქტურული ერთეულის საჭიროებებიდან, ასევე თანამშრომლის განვითარების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე შეიძლება დაწესდეს ძირითადი მოვალეობების განსხვავებული პროპორცია დასაქმებულსა და ძირითადი საგანმანათლებლო/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს შორის ყოველწლიურად დადებული შეთანხმების საფუძველზე.

9. წინამდებარე დოკუმენტის მე – 8 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება იდება წერილობით სამუშაო აღწერილობის ფორმით დასაქმებულის პროგრესის განხილვის პერიოდით - ერთი წლის ვადით. აღნიშნული შეთანხმება ითვლება უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. სკოლის საბჭოს მიერ დასაქმებულის პროგრესის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება განსახილველ პერიოდში მისი სამუშაო აღწერილობა.

9.1. გამონაკლის შემთხვევებში, თუ არსებობს გამამართლებელი გარემოებები, შესაძლებელია ერთი ძირითადი მოვალეობის უფრო მაღალი მოცულობა შეიცვალოს სხვა ძირითადი მოვალეობის მოცულობით. აფილირებული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის სწავლებასა და სწავლების ადმინისტრირებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, აგრეთვე კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის სრული შეცვლა შეუძლებელია სხვა ძირითადი მოვალეობებით; კვლევასთან დაკავშირებული თანამშრომლის - მკვლევარის/ მეცნიერთანამშრომლის, კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის სრული შეცვლა შეუძლებელია სხვა ძირითადი მოვალეობებით; არა აფილირებული აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) და მოწვეული სპეციალისტის სწავლებასა და სწავლების ადმინისტრირებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის სრული შეცვლა შეუძლებელია სხვა ძირითადი მოვალეობებით.

9.2. თუ აკადემიური პოზიციის დაკავების ხელშეკრულება გაფორმებულია პირთან, რომელიც იმავდროულად იკავებს უნივერსიტეტის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, დეკანის, ვიცე-დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის და სხვა პასუხისმგებელ თანამდებობას, უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციურ განვითარებასთან დაკავშირებული მისი ძირითადი მოვალეობების მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- პრეზიდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით სამუშაო დროის 60-70% -მდე;
- ვიცე-პრეზიდენტი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პრეზიდენტთან შეთანხმებით, სამუშაო დროის 60-70% -მდე;
- ვიცე დეკანი და ინსტიტუტის ხელმძღვანელი, დეკანთან შეთანხმებით, სამუშაო დროის 50% - მდე;
- სხვა თანამდებობის პირი, პრეზიდენტთან შეთანხმებით, სამუშაო დროის 50% -მდე;

10. აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან იდება შრომითი ხელშეკრულება სრული (40 სთ.) ან არასრული (20 სთ.) დატვირთვით საკონსკურსო ვადით. აფილირებული აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვა დამოკიდებულია უნივერსიტეტში ან უნივერსიტეტის გარეთ მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათთან. აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა ყოველთვიური ანაზღაურება. აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს მიიღოს ანაზღაურებადი შვებულება ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველ ხუთი წელიწადში მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

11. მკვლევართან/მეცნიერ-თანამშრომელთან იდება შრომითი ხელშეკრულება სრული ან არასრული დატვირთვით. მკვლევარს/მეცნიერ-თანამშრომელს ეძლევა ყოველთვიური ანაზღაურება.
12. არა აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან იდება შრომითი ხელშეკრულება სრული (40 სთ.) ან არასრული (20 სთ.) დატვირთვით საკონსკურსო ვადით. არა აფილირებული აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვა დამოკიდებულია უნივერსიტეტში ან უნივერსიტეტის გარეთ მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათთან. არა აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება განისაზღვრება მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
13. მოწვეულ სპეციალისტთან იდება შრომითი ხელშეკრულება. მოწვეული სპეციალისტის ანაზღაურება განისაზღვრება მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
14. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობის ძირითადი პრინციპია აკადემიური თავისუფლება.
15. მოვალეობის შესრულების დროს, აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს უფლება აქვს შეუზღუდავად ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.
16. აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით, სამუშაოს აღწერილობითა და ამ წესის შესაბამისი დანართით გათვალისწინებული მოვალეობები, აგრეთვე დაიცვას დარგში აღიარებული სტანდარტები, აკადემიური პრინციპები და პროფესიული ეთიკა.

III. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

III.I. აფილირებული პროფესორი

17. უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი არის დარგის წამყვანი სპეციალისტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში, ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ზრუნავს ამ საქმიანობისათვის აუცილებელი ფინანსების მოძიებაზე, ზედამხედველობს სხვა აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში.
18. აფილირებულ პროფესორს უნდა ჰქონდეს:
 - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
 - სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
 - სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;

- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.
19. აფილირებული პროფესორის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 1-ში.

III.II. აფილირებული ასოცირებული პროფესორი

20. უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში, ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ზრუნავს ამ საქმიანობისათვის აუცილებელი ფინანსების მოძიებაზე.

21. აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
 - სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
 - სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;
 - საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.
22. აფილირებული ასოცირებული პროფესორის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 2-ში.

III.III. აფილირებული ასისტენტ-პროფესორი

23. უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე, ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

24. აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

25. აფილირებული ასისტენტ-პროფესორის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 3-ში.

III.IV. აფილირებული ასისტენტი

26. უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში პროფესორის და ასოცირებული პროფესორის ზედამხედველობით, მონაწილეობს სკოლაში განხორციელებულ კვლევაში.

27. აფილირებულ ასისტენტს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორანტის სტატუსი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით,

შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დიველგა პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

28. აფილირებული ასისტენტის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 4-ში.

III.V. არა აფილირებული პროფესორი

29. უნივერსიტეტის არა აფილირებული პროფესორი არის დარგის წამყვანი სპეციალისტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

30. არა აფილირებულ პროფესორს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დიველგა პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

31. არა აფილირებული პროფესორის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 5-ში.

III.VI. არა აფილირებული ასოცირებული პროფესორი

32. უნივერსიტეტის არა აფილირებული ასოცირებული პროფესორი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

33. არა აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დიველგა პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

34. არა აფილირებული ასოცირებული პროფესორის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 6-ში.

III.VII. არა აფილირებული ასისტენტ-პროფესორი

35. უნივერსიტეტის არა აფილირებული ასისტენტ-პროფესორი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე.

36. არა აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

37. არა აფილირებული ასისტენტ-პროფესორის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 7-ში.

III.VIII. მოწვეული სპეციალისტი

38. მოწვეული სპეციალისტი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე.

39. მოწვეულ სპეციალისტს უნდა ჰქონდეს:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში, ასევე პროფესიული გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამის დარგში, რომელიც დასტურდება სამუშაო სტაჟით, შესაბამისი მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

40. მოწვეული სპეციალისტის, რომელიც ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში პირველ და მეორე საფეხურზე, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 8-ში.

41. მოწვეული სპეციალისტი, შეიძლება მონაწილეობდეს სადოქტორო პროგრამის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში. ამ შემთხვევაში მას მოეთხოვება:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში;
- დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება;
- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

42. მოწვეული სპეციალისტის, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 9-ში.

III.IX. მკვლევარი/მეცნიერ-თანამშრომელი

43. მკვლევარი/მეცნიერ-თანამშრომელი არის დარგში აღიარებული მკვლევარი, რომელიც ახორციელებს და ხელმძღვანელობს კვლევას, ზრუნავს კვლევის განვითარებისათვის ფინანსური რესურსების მოძიებაზე და ზედამხედველობას უწევს დოქტორანტებს.

44. მკვლევარს/მეცნიერ-თანამშრომელს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობაში;
- პროფესორად, ასოცირებულ პროფესორად მუშაობის ან/და მკვლევარის/მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე ყოფნის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება;
- საგანმანათლებლო/სასწავლო პლატფორმების ცოდნა.

45. მკვლევარის/მეცნიერ-თანამშრომლის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია ამ წესის დანართ 10-ში.

III.X. დამატებითი მოთხოვნები მედიცინის სფეროში

46. გარდა აკადემიური თანამდებობებისთვის სპეციფიკური ზოგადი მოთხოვნებისა მედიცინის სფეროში ვრცელდება შემდეგი მოთხოვნები.

46.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად (2 წელიწადში ერთხელ) უნდა გადიოდნენ ტრენინგს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სერტიფიკატით.

46.2. კლინიკურ დისციპლინებში პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები, მოწვეული სპეციალისტები უნდა იყვნენ სფეროში გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტები:

46.2.1. პროფესორი - სულ მცირე 6 წელი პედაგოგიური და ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება;

46.2.2. ასოცირებული პროფესორი - სულ მცირე 3 წელი პედაგოგიური და ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

46.2.3. ასისტენტ-პროფესორი - სულ მცირე ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

46.2.4. ასისტენტი - დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში.

IV. უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასება

IV.I. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაოს შეფასების მიზანი

47. უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასების მიზანია - ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თანამშრომლებს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში, მოახდინოს ინდივიდუალური და საუნივერსიტეტო მიზნებისა და ამოცანების თანხვედრა. მექანიზმი უზრუნველყოფს თანამშრომლების და შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობის რეგულარულ შეფასებას.

IV.II. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაოს შეფასების სამიზნე ნიშნულები

48. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაოს შეფასების სამიზნე ნიშნულებია:

48.1. განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მიერ სწავლებისა და კვლევის პროცესში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები;

48.2. დროულად მოახდინოს პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირება პერსონალის მიერ პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში და განსაზღვროს მათი მოგვარების სტრატეგიები;

48.3. შეაფასოს უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში;

48.4. შეაფასოს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა;

- 48.5. გამოავლინოს პერსონალის შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას;
- 48.6. მოახდინოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება;
- 48.7. პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგის საფუძველზე, გამოავლინოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები;
- 48.8. ხელი შეუწყოს პერსონალის შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების ზრდას და დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას;
- 48.9. გამოავლინოს მათი წვლილი უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის განხორციელებაში;
- 48.1. შეაფასოს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი კავშირები და საქმიანობა, მათი წვლილი სამეცნიერო კვლევის კომერციალიზაციის საკითხებში.

IV.III. პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების/თვითშეფასების პრინციპები

49. პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების/თვითშეფასების პროცედურა ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

- **სამართლიანობა** - პერსონალის შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი უნდა იყოს.
- **პერსონალური ინფორმაციის დაცვა** - აუცილებელია პიროვნების პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის პატივისცემა.
- **თანასწორობა** - თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების, მათი განხორციელებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში. დაუშვებელია პირის დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნით;
- **თანამონაწილეობა** - ყველა შესაბამისი სტრუქტურისა და პირის ჩართულობის უზრუნველყოფა შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში;
- **ინდივიდუალიზმი** - პერსონალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილებების გათვალისწინება;
- **აკადემიური თავისუფლება** - პერსონალის უფლებაა თავისუფლად ეწეოდეს შემოქმედებით, კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას.

IV.IV. უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასების ეტაპები

50. შეფასების/თვითშეფასების მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაოს შეფასება/თვითშეფასება ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც უშუალო კავშირშია სამუშაოს შესრულების მოცულობასა და ხარისხთან.

51. აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

51.1. **I ეტაპი** - აფილირებული აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ავსებს თვითშეფასების ანგარიშის ფორმას. თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან და მისი დატვირთვიდან გამომდინარე მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის, კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის, უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამის

განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის, სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობის და სხვა სახის საქმიანობის შესახებ - დანართი 11.

51.2. **II ეტაპი** - აფილირებული აკადემიური პერსონალი ყოველსემესტრულად ფასდება სტუდენტის მიერ. სტუდენტი აფასებს როგორც სასწავლო კურსს, ასევე სასწავლო კურსის წამყვან პროფესორს და აკადემიურ პროცესს დანართი 12-ის შესაბამისად. სტუდენტის მიერ შევსებული კითხვარის შედეგები გამოყენება უნივერსიტეტის სხვადასხვა ფუნქციური ამოცანების განხორციელების დროსაც;

51.3. **III ეტაპი** - აფილირებული აკადემიური პერსონალი ყოველსემესტრულად ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აფასებს სემესტრის განმავლობაში პროგრამის განხორციელებისათვის ჩატარებული აქტივობის და პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილის მიხედვით დანართი 13-ის შესაბამისად.

51.4. **IV ეტაპი** - ყოველწლიურად სკოლის დეკანის მიერ ფასდება აფილირებული პროფესორის სამეცნიერო პროდუქტიულობა დანართ 14-ში მოცემული ქულათა რაოდენობის მიხედვით. ამ შეფასების შედეგი აისახება დეკანის საბოლოო შეფასებაში, რომელიც ფორმდება დანართ 15-ში მოცემული სახით. არ ფასდება პროფესიული ნიშნით არჩეული აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა;

51.5. **V ეტაპი** - თვითშეფასების/შეფასების I, II, III და IV ეტაპები შეიძლება მიმდინარეობდეს პარალელურად, იმის გათვალისწინებით რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალი თვითშეფასებას ახდენს წელიწადში ერთხელ, ხოლო სტუდენტები და პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს აფასებს წელიწადში ორჯერ. სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც შეფასების წლიური I, II, III და IV ეტაპი დასრულებულია აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აფასებს სკოლის დეკანი დანართი 15-ის შესაბამისად. სკოლის დეკანი აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აფასებს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, სტუდენტთა მიერ პერსონალის შეფასების, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების, მოსწრების მონიტორინგის, მთელის წლის განმავლობაში მის მიერ საგანმანათლებლო და კვლევის პროცესზე განხორციელებული დაკვირვების (ლექციაზე დასწრება, დეკანის საათი, სტუდენტებთან სისტემატური შეხვედრები, შემოსული საჩივრები, წერილები, განცხადებები და ა. შ.), სამეცნიერო პროდუქტიულობის ანალიზის საფუძველზე ამ წესის შესაბამის დანართებში გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შედეგების მიხედვით.

51.5.1. საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასება, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით ხორციელდება, ხოლო მისი ორგანიზაცია და განვითარება ახალი სასწავლო კურსების შემუშავებისა და დანერგვის, სასწავლო კურსების მოცულობის, შინაარსის, შეფასების სისტემის მიღწეული შედეგების მიხედვით, რომელიც სტუდენტთა გამოკითხვის და მოსწრების მონიტორინგის შედეგებითაც დასტურდება.

51.5.2. სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება კვლევის შედეგების გამოქვეყნებით და პროფესიულ წრეებში მათი გავრცელებითა და დანერგვით, ასევე კვლევის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოძიება/მოპოვების შედეგების მიხედვით ხორციელდება, ამ დროს მხედველობაში მიიღება სხვადასხვა დარგის ბუნება. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, დეკანის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობის მიხედვით შევლენ: დეკანი, სკოლაში მოქმედი

ყველა კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის დირექტორი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დარგის აღიარებული სპეციალისტი/სპეციალისტები.

51.5.3. უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში პერსონალის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების და მისი აღსრულების პროცესში, შეტანილი წვლილი უნივერსიტეტის განვითარებაში.

51.5.4. პროგრამის განვითარებაში აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების შედეგები.

51.5.5. სოციალურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება პროფესიის, ზოგადად ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილი და უნივერსიტეტის საქმიანობის ხილვადობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

51.6. **VI ეტაპი** - დეკანის მიერ წარდგენილ აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგებს საბოლოოდ განიხილავს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭო, რომელიც ამტკიცებს ან არ ამტკიცებს დეკანის შეფასებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დეკანი ვალდებულია მოიწვიოს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია.

52. არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

52.1. **I ეტაპი** - არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველწლიურად ავსებს თვითშეფასების ანგარიშის ფორმას. პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან და მისი დატვირთვიდან გამომდინარე მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის, კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის, უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის, სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობის და სხვა სახის საქმიანობის შესახებ - დანართი 11.

52.2. **II ეტაპი** - არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველსემესტრულად ფასდება სტუდენტის მიერ. სტუდენტი აფასებს როგორც სასწავლო კურსს, ასევე სასწავლო კურსის წამყვან პროფესორს და აკადემიურ პროცესს დანართი 12-ის შესაბამისად. სტუდენტის მიერ შევსებული კითხვარის შედეგები გამოყენება უნივერსიტეტის სხვადასხვა ფუნქციური ამოცანების განხორციელების დროსაც;

52.3. **III ეტაპი** - არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველსემესტრულად ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. პროგრამის ხელმძღვანელი არააფილირებული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აფასებს სემესტრის განმავლობაში პროგრამის განხორციელებისათვის ჩატარებული აქტივობის და პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილის მიხედვით დანართი 13-ის შესაბამისად.

52.4. **IV ეტაპი** - თვითშეფასების/შეფასების I, II და III ეტაპები შეიძლება მიმდინარეობდეს პარალელურად, იმის გათვალისწინებით რომ არააფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალი თვითშეფასებას ახდენს წელიწადში ერთხელ, ხოლო სტუდენტები და პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები პერსონალს აფასებს წელიწადში ორჯერ. სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც შეფასების წლიური I, II და III ეტაპი დასრულებულია არააფილირებულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს აფასებს სკოლის დეკანი დანართი 16-ის შესაბამისად. სკოლის დეკანი არააფილირებულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს აფასებს მათ მიერ

წარმოდგენილი თვითშეფასების, სტუდენტთა მიერ პერსონალის შეფასების, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების, მოსწრების მონიტორინგის, მთელის წლის განმავლობაში მის მიერ საგანმანათლებლო და კვლევის პროცესზე განხორციელებული დაკვირვების (ლექციაზე დასწრება, დეკანის საათი, სტუდენტებთან სისტემატური შეხვედრები, შემოსული საჩივრები, წერილები, განცხადებები და ა. შ.) ანალიზის საფუძველზე ამ წესის შესაბამის დანართებში გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შედეგების მიხედვით.

52.4.1. საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასება, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით ხორციელდება, ხოლო მისი ორგანიზაცია და განვითარება ახალი სასწავლო კურსების შემუშავებისა და დანერგვის, სასწავლო კურსების მოცულობის, შინაარსის, შეფასების სისტემის მიღწეული შედეგების მიხედვით, რომელიც სტუდენტთა გამოკითხვის და მოსწრების მონიტორინგის შედეგებითაც დასტურდება.

52.4.2. კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის შეფასება კვლევის შედეგების გამოქვეყნებით და პროფესიულ წრეებში მათი გავრცელებითა და დანერგვით, ასევე კვლევის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოძიება/მოპოვების შედეგების მიხედვით ხორციელდება, ამ დროს მხედველობაში მიიღება სხვადასხვა დარგის ბუნება. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, დეკანის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობის მიხედვით შევლენ: დეკანი, სკოლაში მოქმედი ყველა კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის დირექტორი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დარგის აღიარებული სპეციალისტი/სპეციალისტები.

52.4.3. უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში პერსონალის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების და მისი აღსრულების პროცესში, შეტანილი წვლილი უნივერსიტეტის განვითარებაში.

52.4.4. პროგრამის განვითარებაში არააფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების შედეგები.

52.4.5. სოციალურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება პროფესიის, ზოგადად ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილი და უნივერსიტეტის საქმიანობის ხილვადობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

52.5. **V ეტაპი** - დეკანის მიერ წარდგენილ არააფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგებს საბოლოოდ განიხილავს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭო, რომელიც ამტკიცებს ან არ ამტკიცებს დეკანის შეფასებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დეკანი ვალდებულია მოიწვიოს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია.

53. სამეცნიერო პერსონალის შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

53.1. **I ეტაპი** - სამეცნიერო პერსონალი ყოველწლიურად ავსებს თვითშეფასების ანგარიშის ფორმას. პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან და მისი დატვირთვიდან გამომდინარე მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის, კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის, უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის, სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობის და სხვა სახის საქმიანობის შესახებ - დანართი 11.

53.2. **II ეტაპი** - ყოველწლიურად სკოლის დეკანის მიერ ფასდება სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო აქტივობა დანართ 14-ში მოცემული ქულათა რაოდენობის მიხედვით. ამ შეფასების შედეგი აისახება დეკანის საბოლოო შეფასებაში, რომელიც ფორმდება დანართ 15-ში მოცემული სახით.

53.3. **III ეტაპი** - I და II ეტაპის დასრულების შემდეგ სამეცნიერო პერსონალს აფასებს სკოლის დეკანი დანართი 15-ის შესაბამისად. სკოლის დეკანი პერსონალს აფასებს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, მთელის წლის განმავლობაში მის მიერ საგანმანათლებლო და კვლევის პროცესზე განხორციელებული დაკვირვების ანალიზის საფუძველზე ამ წესის შესაბამის დანართებში გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შედეგების მიხედვით.

53.4. **III ეტაპი** - დეკანის მიერ წარდგენილ სამეცნიერო პერსონალის შეფასების შედეგებს საბოლოოდ განიხილავს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭო, რომელიც ამტკიცებს ან არ ამტკიცებს დეკანის შეფასებას, შეფასებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დეკანი ვალდებულია მოიწვიოს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია.

IV.V. უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა

54. აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობა თითოეული ძირითადი მოვალეობის მიხედვით, გარდა კვლევისა და ინოვაციურ საქმიანობაში განხორციელებული აქტივობისა, ფასდება შემდეგი სისტემით:

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „მეტწილად შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „ნაწილობრივ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „არ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას.

55. აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევისა და ინოვაციურ საქმიანობაში განხორციელებული აქტივობა ანუ სამეცნიერო პროდუქტიულობა ფასდება ამ წესის დანართ 14-ში მოცემული ქულათა რაოდენობის მიხედვით.

56. ყოველწლიურად კვლევისა და ინოვაციურ საქმიანობაში უნივერსიტეტის აფილირებულმა პროფესორმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 40 ქულა, აფილირებულმა ასოცირებულმა პროფესორმა - მინიმუმ 30 ქულა, აფილირებულმა ასისტენტ-პროფესორმა - მინიმუმ 20 ქულა, აფილირებულმა ასისტენტმა - მინიმუმ 15 ქულა, ხოლო სამეცნიერო პერსონალმა - მინიმუმ 50 ქულა.

57. არააფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობა თითოეული ძირითადი მოვალეობის მიხედვით ფასდება შემდეგი სისტემით:

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „მეტწილად შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „ნაწილობრივ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობა „არ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;

IV.VI. უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები

58. აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები:

58.1. აფილირებული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის საქმიანობა ფასდება უარყოფითად, თუ მისი საგანმანათლებლო საქმიანობა განსაზღვრება „ნაწილობრივ შეესაბამება“ ან „არ შეესაბამება“ შეფასებით ან/და სამეცნიერო პროდუქტიულობაში არ აქვს დაგროვილი ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობა. ამ შემთხვევაში დეკანი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს წინადადება შესაბამის პერსონალთან გაფორმებული აფილირების ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე;

58.2. აფილირებული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის საქმიანობა ფასდება დადებითად, თუ მისი საგანმანათლებლო საქმიანობა განსაზღვრება „შეესაბამება“ ან „მეტწილად შეესაბამება“ შეფასებით და სამეცნიერო პროდუქტიულობაში აქვს დაგროვილი ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობა. ამ შემთხვევაში დეკანი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს წინადადება შესაბამის პერსონალთან მიმართებაში წახალისების ღონისძიებების გამოყენების შესახებ;

58.2.1. ყველა ძირითად მოვალეობაში „შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის და სამეცნიერო პროდუქტიულობაში მისი პოზიციიდან გამომდინარე დაწესებულ მინიმალურ ქულათა გაორმაგებულად დაგროვების შემთხვევაში აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე გაიცემა ბონუსი მთელი წლის განმავლობაში მიღებული ანაზღაურების 20%-ის ოდენობით;

58.2.2. ყველა ძირითად მოვალეობაში „შეესაბამება“ ან/და „მეტწილად შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის და სამეცნიერო პროდუქტიულობაში მისი პოზიციიდან გამომდინარე დაწესებულ მინიმალურ ქულათა გაორმაგებულად დაგროვების შემთხვევაში აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე გაიცემა ბონუსი მთელი წლის განმავლობაში მიღებული ანაზღაურების 10%-ის ოდენობით;

58.2.3. რომელიმე ძირითად მოვალეობაში „მეტწილად შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის, ასევე სამეცნიერო პროდუქტიულობაში ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობის დაგროვების შემთხვევაში დამატებით გაითვალისწინება შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები;

58.2.4. საგანმანათლებლო საქმიანობაში - „შეესაბამება“ ან/და „მეტწილად შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის და სამეცნიერო პროდუქტიულობაში ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობის დაგროვების, ხოლო სხვა ძირითად მოვალეობებში - „ნაწილობრივ შეესაბამება“ ან/და „არ შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიურ პერსონალს მიეცემა გაფრთხილება ზემოაღნიშნული ძირითადი მოვალეობების შესრულების თაობაზე. ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, შეიძლება დეკანის მიერ დაისვას საკითხი შესაბამის აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე.

59. არა აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები:

59.1. არა აფილირებული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის საქმიანობა ფასდება უარყოფითად, თუ მისი საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები განისაზღვრება „ნაწილობრივ შეესაბამება“ ან „არ შეესაბამება“ შეფასებით. ამ შემთხვევაში დეკანი უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე აყენებს წინადადებას შესაბამის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე;

59.2. არა აფილირებული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის საქმიანობა ფასდება დადებითად, თუ მისი საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები განისაზღვრება „შეესაბამება“ ან „მეტწილად შეესაბამება“ შეფასებით. ამ შემთხვევაში დეკანი უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე აყენებს წინადადებას შესაბამის პერსონალთან მიმართებაში წახალისების ღონისძიებების გამოყენების შესახებ;

59.2.1. ყველა ძირითად მოვალეობაში „შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის შემთხვევაში არა აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე შესაძლებელია გაიცეს ბონუსი მთელი სემესტრის განმავლობაში მიღებული ანაზღაურების 10%-ის ოდენობით;

59.2.2. ძირითად მოვალეობაში - საგანმანათლებლო საქმიანობა - „შეესაბამება“ ან/და „მეტწილად შეესაბამება“ შეფასების მიღების, ხოლო სხვა ძირითად მოვალეობებში - „ნაწილობრივ შეესაბამება“ ან/და „არ შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის შემთხვევაში არა აფილირებულ აკადემიურ პერსონალს მიეცემა გაფრთხილება ზემოაღნიშნული ძირითადი მოვალეობების შესრულების თაობაზე. ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, შეიძლება დეკანის მიერ დაისვას საკითხი შესაბამის აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე.

60. მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები:

60.1. მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება უარყოფითად, თუ მისი საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები განისაზღვრება „ნაწილობრივ შეესაბამება“ ან „არ შეესაბამება“ შეფასებით. ამ შემთხვევაში დეკანი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს წინადადება შესაბამის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე;

60.2. მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება დადებითად, თუ მისი საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები განისაზღვრება „შეესაბამება“ ან „მეტწილად შეესაბამება“ შეფასებით. ამ შემთხვევაში დეკანი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს წინადადება შესაბამის პერსონალთან მიმართებაში წახალისების ღონისძიებების გამოყენების შესახებ;

60.3. ძირითად მოვალეობაში - საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები - „შეესაბამება“ ან/და „მეტწილად შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის, ხოლო სხვა ძირითად მოვალეობებში „ნაწილობრივ შეესაბამება“ ან/და „არ შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის შემთხვევაში შეიძლება დეკანის მიერ დაისვას საკითხი შესაბამის მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე.

61. სამეცნიერო პერსონალის შეფასების შედეგები:

61.1. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობა ფასდება უარყოფითად, თუ მას ძირითად მოვალეობაში - კვლევა და ინოვაციური საქმიანობა, ანუ სამეცნიერო პროდუქტიულობაში, არ აქვს დაგროვილი ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობა. ამ შემთხვევაში დეკანი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს

წინადადება შესაბამის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე;

61.2. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობა ფასდება დადებითად, თუ მას ძირითად მოვალეობაში - კვლევა და ინოვაციური საქმიანობა, ანუ სამეცნიერო პროდუქტიულობაში, აქვს დაგროვილი ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობა. ამ შემთხვევაში დეკანი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს წინადადება შესაბამის პერსონალთან მიმართებაში წახალისების ღონისძიებების გამოყენების შესახებ:

61.2.1. ყველა ძირითად მოვალეობაში „შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის და სამეცნიერო პროდუქტიულობაში მისი პოზიციიდან გამომდინარე დაწესებულ მინიმალურ ქულათა გაორმაგებულად დაგროვების შემთხვევაში სამეცნიერო პერსონალზე გაიცემა ბონუსი მთელი წლის განმავლობაში მიღებული ანაზღაურების 20%-ის ოდენობით;

61.2.2. ყველა ძირითად მოვალეობაში „შეესაბამება“ ან/და „მეტწილად შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის და სამეცნიერო პროდუქტიულობაში მისი პოზიციიდან გამომდინარე დაწესებულ მინიმალურ ქულათა გაორმაგებულად დაგროვების შემთხვევაში სამეცნიერო პერსონალზე გაიცემა ბონუსი მთელი წლის განმავლობაში მიღებული ანაზღაურების 10%-ის ოდენობით;

61.2.3. რომელიმე ძირითად მოვალეობაში „მეტწილად შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის, ასევე სამეცნიერო პროდუქტიულობაში ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობის დაგროვების შემთხვევაში დამატებით გაითვალისწინება შესაბამისი მხარდაჭერი ღონისძიებები;

61.2.4. სამეცნიერო პროდუქტიულობაში ამ წესის 56-ე პუნქტით განსაზღვრული ქულათა მინიმალური ოდენობის დაგროვების, ხოლო სხვა ძირითად მოვალეობებში - - „ნაწილობრივ შეესაბამება“ ან/და „არ შეესაბამება“ შეფასების განსაზღვრის შემთხვევაში სამეცნიერო პერსონალს მიეცემა გაფრთხილება ზემოაღნიშნული ძირითადი მოვალეობების შესრულების თაობაზე. ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, შეიძლება დეკანის მიერ დაისვას საკითხი შესაბამის სამეცნიერო პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეწყვეტის თაობაზე.

V. გარდამავალი დებულებები

62. წინამდებარე წესი ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.



თვითშეფასების კითხვარი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისათვის

(გთხოვთ, შეავსოთ სასწავლო წლის მონაცემების საფუძველზე)

1. პირადი ინფორმაცია

გვარი, სახელი	
დაკავებული პოზიცია	
აკადემიური ხარისხი	
სკოლა	

2. საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები:

2.1. სასწავლო დატვირთვა

#	დატვირთვის სახეობა	სასწავლო კურსის/აქტივობის სახელწოდება (მიუთითეთ საფეხური)	საკონტაქტო საათების რაოდენობა
1	ლექცია		
2	სემინარი		
3	პრაქტიკული		
4	ლაბორატორიული		
5	სამუშაო ჯგუფი		
6	სტუდენტთა კონსულტაცია		
7	პრაქტიკის ხელმძღვანელობა		
8	სხვა აქტივობა		

2.2. სხვა საქმიანობა

#	საქმიანობის სახე	აღწერეთ აქტივობა
1	დოქტორანტის ხელმძღვანელობა	
2	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	
3	საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	
4	დოქტორანტის სემინარის ხელმძღვანელობა	
5	სტუდენტთა ნაშრომების/დავალებების შეფასება (ტესტი, კაზუსი, ამოცანა, შუალედური შეფასება, დასკვნითი შეფასება, პრეზენტაცია, ესე, სამაგისტრო ნაშრომი, სადისერტაციო ნაშრომი და ა.შ.)	

6	სასწავლო მასალის შემუშავება (სახელმძღვანელოების, კონსპექტების, ტესტების შედგენა/განახლება და ა. შ.)	
7	სტუდენტის კონფერენციისათვის მომზადება, სტუდენტთა კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა, სტუდენტთა იმიტირებული პროცესებისა და სხვა სახის შეჯიბრებებისათვის მომზადება	
8	სეზონური სკოლის ორგანიზება/ხელმძღვანელობა	
9	პროფესიული განვითარება	
10	სხვა	

3. სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები

3.1. სამეცნიერო სტატია

#	სტატია	სახელწოდება, ჟურნალი
1	სტატიის დაბეჭდვა შემდეგი კატეგორიის ჟურნალებში: ტომსონ როიტერსის ბაზაში (Web of Science) ინდექსირებული ჟურნალები, იმპაქტ-ფაქტორის (IF – Impact Factor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI – Science Citation Index) მაჩვენებლებით; ელსევიერის პუბლიკაციების ბაზასა და Scopus-ის პლატფორმაზე დაყრდნობით ინდექსირებული ჟურნალები, სიმაგოს ჟურნალების რეიტინგის (SJR – SCImago Journal Rank) ინდექსის მაჩვენებლით; სხვა მსგავს რეიტინგულ ბაზებში ინდექსირებული ჟურნალები.	
2	სტატიის დაბეჭდვა სხვა რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის მიმოხილვითი ნაშრომები (review papers).	
3	გამოქვეყნებული სტატია რეფერირებად (peer review) ჟურნალში საქართველოში	
4	სხვა	

3.2. სახელმძღვანელო/მონოგრაფია

#	სახელმძღვანელო/მონოგრაფია	სახელწოდება, გამომცემლობა, თარიღი
1	გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელიც ინდექსირებულია web of science, scopus, SCImago Journal Rank, ERIH plus ბაზებში/რეიტინგებში.	
2	გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო - ელექტრონულ ბაზებში	
3	გამოქვეყნებული მონოგრაფია საზღვარგარეთ, რომელიც გამოცემულია უცხოური გამომცემლობის მიერ	
4	გამოქვეყნებული მონოგრაფია საქართველოში	
5	გამოცემული სახელმძღვანელო	
6	სახელმძღვანელოს თარგმნა	
7	სხვა	

3.3. სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებაში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, სემინარი, ვორკშოპი და სხვ.) მონაწილეობა

#	აქტივობა	როლი	ჩატარების დრო, ადგილი
1	მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (მოხსენებით გამოსვლა)		
2	მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (პოსტერი)		
3	მონაწილეობა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში (მოხსენებით გამოსვლა)		
4	მონაწილეობა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში (პოსტერი)		
5	მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაში (მოხსენებით გამოსვლა)		
6	ტრენინგში მონაწილეობა		
7	მონაწილეობა სემინარში, ვორკშოპში; სიმპოზიუმზე დასწრება და სხვა		

3.4. სამეცნიერო-საგრანტო პროექტის მომზადება

#	აქტივობა	მონაცემები
1	სამეცნიერო -საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციაში (დაფინანსებული)	
2	სამეცნიერო -საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა საქართველოს დონორ ორგანიზაციაში (დაფინანსებული)	
3	სამეცნიერო -საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ სამეცნიერო - საგრანტო კონკურსებში (დაფინანსებული)	
4	სხვა	

3.5. სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა

#	აქტივობა	მონაცემები
1	საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	
2	ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	

3	საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა ძირითადი/სამეცნიერო პერსონალის სტატუსით	
4	ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა ძირითადი/სამეცნიერო პერსონალის სტატუსით	
5	უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	
6	უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში მონაწილეობა ძირითადი პერსონალის სტატუსით	

3.6. სხვა სამეცნიერო აქტივობა

#	საქმიანობის სახე	აღწერეთ აქტივობა
1	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად დოქტორანტების ხელმძღვანელობა	
2	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად მაგისტრანტების ხელმძღვანელობა	
3	სამეცნიერო საქმიანობისთვის მიღებული სამეცნიერო პრემია, ჯილდო	
4	მიღებული პატენტები, საავტორო უფლებები	
5	სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა	
6	სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა	
7	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება	
8	ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრობა	
9	კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა	
10	საექსპერტო/საკონსულტაციო საქმიანობა	
11	სხვა	

4. უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში მონაწილეობა:

#	საქმიანობის სახე	აღწერეთ აქტივობა
1	სკოლის საბჭოს წევრობა	
2	კომისიის/კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა	
3	ადმინისტრაციის დავალებების შესრულება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში - სკოლაში, სტრუქტურულ ერთეულში, სამუშაო ჯგუფი და ა.შ.	
4	მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებებში	
5	მონაწილეობა უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში	

6	უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა	
---	---	--

5. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობა:

#	საქმიანობის სახე	აღწერეთ აქტივობა
1	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა/კოორდინირება	
2	საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება	
3	სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავება და განვითარება	
4	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა	
5	უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებული პროგრამების/მოდულების/სასწავლო კურსების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობა	
6	საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა	

6. სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობა:

#	საქმიანობის სახე	აღწერეთ აქტივობა
1	უნივერსიტეტის, სფეროს/დარგის პოპულარიზაცია	
2	მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებში	
3	ეროვნული პროგრამებისა და სტრატეგიული გეგმების მომზადებაში მონაწილეობა	
4	უნივერსიტეტის გარეთ სხვადასხვა ორგანოებსა და კომიტეტებში მონაწილეობა	
5	სხვა სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობა	

დამატებითი ინფორმაცია -----

ხელმოწერა -----

შევსების თარიღი -----



**სტუდენტი მიერ სასწავლო კურსის, სასწავლო კურსის
წამყვანი პროფესორის და აკადემიურ პროცესის შეფასების კითხვარი**

გთხოვთ, შეავსოთ აღნიშნული კითხვარი და გასცეთ პასუხი კითხვებს ობიექტურად და რეალისტურად, რაც ძალიან ღირებულია პროგრამის განვითარებისთვის. არ მიუთითოთ თქვენი ვინაობა!

I. ზოგადი ინფორმაცია

1. სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი მაგისტრატურა დოქტორანტურა
2. საგანმანათლებლო პროგრამა: -----
3. სასწავლო კურსი: -----
4. სწავლების ენა: ქართული ინგლისური
5. სწავლების წელი: I II III IV მეტი

II. სასწავლო კურსი

#	კითხვა	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	სასწავლო კურსმა მომცა სწორედ ის ცოდნა რომლის შექმნაც მსურდა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2	სასწავლო კურსმა განმივითარა ის უნარები, რომელთა განვითარებაც მსურდა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3	სწავლების/სწავლის მეთოდები ადეკვატური იყო სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	სასწავლო კურსის ხანგრძლივობა და მინიჭებული კრედიტები იყო გონივრული და ადეკვატური შედეგის მისაღწევად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	სასწავლო კურსში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები ლოგიკურად იყო განაწილებული	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

	ნათლად და ლოგიკურად იყო ჩამოყალიბებული					
7	სასწავლო კურსში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა/რესურსი უნივერსიტეტის ფარგლებში მიღწევადია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8	სასწავლო კურსის ლიტერატურა ადეკვატურია სწავლის შედეგების მისაღწევად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9	შეფასების შედეგები დროულად გვეცნობება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10	სასწავლო კურსის ასათვისებლად ყველა საჭირო რესურსი და ინფორმაცია ჩვენთვის დროულად იყო ხელმისაწვდომი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

III. ლექტორი

#	კითხვა	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1	ლექტორი კომპეტენტურია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2	ლექტორი ორიენტირებულია სტუდენტისათვის პრაქტიკული/პროფესიული კომპონენტის განვითარებაზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3	ლექტორი ორიენტირებულია სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის მიცემაზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	სტუდენტი იღებს ლექტორისგან რეგულარულ კონსულტაციას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	ლექტორი ყოველთვის მზად არის სტუდენტს გაუწიოს დამატებითი დახმარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

IV. აკადემიური პროცესის ზოგადი შეფასება

ათბალიანი სისტემით აკადემიურ პროცესს შევამოწმებდი:

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

V. შენიშვნები და შეთავაზებები

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!



პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება

შესაფასებელი პირის სახელი და გვარი: -----

უნივერსიტეტში დაკავებული პოზიცია -----

შეფასების ინდიკატორი	საერთოდ არ მონაწილეობს	ნაწილობრივ მონაწილეობს	მონაწილეობს	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ახდენს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავებას და განვითარებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მონაწილეობს უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებულ პროგრამების/მოდულების/სასწავლო კურსების შემუშავებასა და განვითარებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

- 1 - აკადემიური პერსონალის საქმიანობა „შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 2 - აკადემიური პერსონალის საქმიანობა „მეტწილად შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 3 - აკადემიური პერსონალის საქმიანობა „ნაწილობრივ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 4 - აკადემიური პერსონალის საქმიანობა „არ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;

პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით -----

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა ----- / --- /



აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები და ქულები

სამეცნიერო სტატია

#	სტატია	ქულა
1	სტატიის დაბეჭდვა შემდეგი კატეგორიის ჟურნალებში: ტომსონ როიტერსის ბაზაში (Web of Science) ინდექსირებული ჟურნალები, იმპაქტ-ფაქტორის (IF – Impact Factor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI – Science Citation Index) მაჩვენებლებით; ელსვეიერის პუბლიკაციების ბაზასა და Scopus-ის პლატფორმაზე დაყრდნობით ინდექსირებული ჟურნალები, სიმაგოს ჟურნალების რეიტინგის (SJR – SCImago Journal Rank) ინდექსის მაჩვენებლით; სხვა მსგავს რეიტინგულ ბაზებში ინდექსირებული ჟურნალები.	50
2	სტატიის დაბეჭდვა სხვა რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის მიმოხილვითი ნაშრომები (review papers).	45
3	გამოქვეყნებული სტატია რეფერირებად (peer review) ჟურნალში საქართველოში	35
4	სხვა	ქულა განისაზღვრება კომისიის მიერ

სახელმძღვანელო/მონოგრაფია

#	სახელმძღვანელო/მონოგრაფია	ქულა
1	გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელიც ინდექსირებულია web of science, scopus, SCImago Journal Rank, ERIH plus ბაზებში/რეიტინგებში.	50
2	გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო - ელექტრონულ ბაზებში	45
3	გამოქვეყნებული მონოგრაფია საზღვარგარეთ, რომელიც გამოცემულია უცხოური გამომცემლობის მიერ	30-40
4	გამოქვეყნებული მონოგრაფია საქართველოში	20-30
5	გამოცემული სახელმძღვანელო	20-30
6	სახელმძღვანელოს თარგმნა	25
7	სხვა	ქულა განისაზღვრება კომისიის მიერ

სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებაში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, სემინარი, ვორკშოპი და სხვ.) მონაწილეობა

#	აქტივობა	როლი	ქულა
1	მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (მოხსენებით გამოსვლა)		30-40
2	მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (პოსტერი)		20
3	მონაწილეობა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში (მოხსენებით გამოსვლა)		20-30
4	მონაწილეობა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში (პოსტერი)		15
5	მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაში (მოხსენებით გამოსვლა)		20
6	ტრენინგში მონაწილეობა		10-20
7	მონაწილეობა სემინარში, ვორქშოპში; სიმპოზიუმზე დასწრება და სხვა		10-25

სამეცნიერო-საგრანტო პროექტის მომზადება

#	აქტივობა	ქულა
1	სამეცნიერო - საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციაში (დაფინანსებული)	40
2	სამეცნიერო - საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა საქართველოს დონორ ორგანიზაციაში (დაფინანსებული)	30
3	სამეცნიერო - საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ სამეცნიერო - საგრანტო კონკურსებში (დაფინანსებული)	20
4	სხვა	ქულა განისაზღვრება კომისიის მიერ

სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა

#	აქტივობა	ქულა
1	საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	50
2	ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	40
3	საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა ძირითადი/სამეცნიერო პერსონალის სტატუსით	25
4	ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა ძირითადი/სამეცნიერო პერსონალის სტატუსით	20
5	უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	25
6	უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ სამეცნიერო -კვლევით პროექტებში მონაწილეობა ძირითადი პერსონალის სტატუსით	15

სხვა სამეცნიერო აქტივობა

#	საქმიანობის სახე	ქულა
1	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად დოქტორანტების ხელმძღვანელობა	25
2	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად მაგისტრანტების ხელმძღვანელობა	20
3	სამეცნიერო საქმიანობისთვის მიღებული სამეცნიერო პრემია, ჯილდო	20-50
4	მიღებული პატენტები, საავტორო უფლებები	20-50
5	სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა	20-50
6	სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა	15-30
7	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება	30
8	ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრობა	20
9	კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა	40
10	საექსპერტო/საკონსულტაციო საქმიანობა	30
11	სხვა	ქულა განისაზღვრება კომისიის მიერ

შენიშვნა: იქ სადაც არ არის განსაზღვრული ზუსტი ქულა, ან აქტივობა არ არის შესაბამის სქემაში აქტივობის შინაარსიდან გამომდინარე ქულის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს დეკანის მიერ შექმნილი კომისია;



აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასება დეკანის მიერ

შესაფასებელი პირის სახელი და გვარი: -----

უნივერსიტეტში დაკავებული პოზიცია -----

შეფასების ინდიკატორი (ძირითადი მოვალეობა)	1	2	3	4
საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

- 1 - პერსონალის საქმიანობა „შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 2 - პერსონალის საქმიანობა „მეტწილად შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 3 - პერსონალის საქმიანობა „ნაწილობრივ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 4 - პერსონალის საქმიანობა „არ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;

სამეცნიერო პროდუქტიულობა:

განხორციელებული აქტივობა	დაგროვილი ქულა
სულ ქულა	

დეკანის რეკომენდაციები და რჩევები ძირითადი მოვალეობების მიხედვით აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით -----

დეკანის ხელმოწერა ----- / --- /



არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ

შესაფასებელი პირის სახელი და გვარი: -----

უნივერსიტეტში დაკავებული პოზიცია -----

შეფასების ინდიკატორი (ძირითადი მოვალეობა)	1	2	3	4
საგანმანათლებლო საქმიანობა და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
კვლევა და ინოვაციური საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

- 1 - პერსონალის საქმიანობა „შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 2 - პერსონალის საქმიანობა „მეტწილად შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 3 - პერსონალის საქმიანობა „ნაწილობრივ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;
- 4 - პერსონალის საქმიანობა „არ შეესაბამება“ ძირითად მოვალეობას;

დეკანის რეკომენდაციები და რჩევები ძირითადი მოვალეობების მიხედვით აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით -----

დეკანის ხელმოწერა ----- / --- /